მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკონტროლო სია

შემუშავებულია ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის წევრების მიერ, საზაფხულო სკოლის ‘ადამიანის უფლებათა მონაცემებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება ადგილობრივ დონეზე’ ფარგლებში

1. განსაზღვრეთ საკითხი/პრობლემა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას.

□ *მოსახლეობის რომელ **ჯგუფს** ეხება ეს საკითხი?*

□ ***ადამიანის რომელ უფლებებს** უკავშირდება იდენტიფიცირებული პრობლემა?*

□ *როგორ მოქმედებს ეს პრობლემა **ქალებსა და მამაკაცებზე განსხვავებულად**?*

2. დაადგინეთ, შედის თუ არა ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში.

□ *გაქვთ თუ არა საჭირო **კომპეტენციები** ამ საკითხის გადაწყვეტისთვის?*

□ *თუ არა - რა ინსტრუმენტებს ფლობთ, რომელიც დაგეხმარებათ ამ პრობლემის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებას **აცნობოთ**?*

3. განსაზღვრეთ ალტერნატიული გზები ამ საკითხის არსებული რესურსებით გადაჭრის მიზნით.

□ *რა სახის **პოლიტიკის თუ საკანონმდებლო ცვლილებები** შეიძლება განიხილოთ ამ საკითხის გადასაჭრელად?*

□ *რა სახის **უკვე არსებულ რესურსებს** გამოიყენებდით?*

□ *რა სახის **დამატებითი რესურსები** დაგჭირდებათ?*

□ *როგორ განსაზღვრავთ დამატებითი რესურსების **ღირებულებას/ოდენობას?***

□ *სად შეგიძლიათ **გაანაწილოთ** ეს რესურსები?*

4. დაადგინეთ ყველა ის მონაცემი, რომელიც საჭიროა პოლიტიკის შემუშავების/სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით.

□ *რა სახის **მეორადი მონაცემები** (სტატისტიკური თუ სხვა) დაგჭირდებათ?*

□ *რა სახის **პირველადი მონაცემები** (მოწოდებული უშუალოდ სამიზნე ჯგუფებისგან, ექსპერტებისგან) შეგიძლიათ მოიპოვოთ?*

□ *რა სახის მონაცემები გჭირდებათ, მაგრამ **არ გაქვთ უფლებამოსილება,** რომ მოიპოვოთ?*

□ *რა **ინსტრუმენტები** არსებობს, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას აცნობოთ მონაცემთა შეგროვების საჭიროება?*

5. განსაზღვრეთ მონაცემთა შეგროვების ყველა საჭირო მეთოდი.

□ *მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებია **ხელმისაწვდომი და შესაბამისი** იმ დროისა და რესურსებისთვის, რომელიც მოგეპოვებათ?*

6. შეაგროვეთ ყველა გამოვლენილი და საჭირო მონაცემები/ინფორმაცია.

განიხილეთ...

□ ***სტატისტიკური ინფორმაციის** გამოთხოვა შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან?*

□ ***სამაგიდო კვლევის** ჩატარება და არსებული ანგარიშების (სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოების, სხვა.) ანალიზი?*

□ ***ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების** ჩატარება სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან ან დარგის სპეციალისტებთან?*

□ *პირისპირ თუ ონლაინ **რაოდენობრივი კვლევის** ჩატარება?*

7. ხელახლა შეაფასეთ, საკითხის გაგებისთვის საკმარისი მონაცემები/ინფორმაცია შეგროვდა თუ არა.

□ *შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, სრულად **გასაგებია** თუ არა იდენტიფიცირებული საკითხი?*

□ *შესაძლებელია თუ არა მონაცემთა **გადამოწმება**? თუ კი, როგორ?*

თუ არა, გაიარეთ 3-დან 6-მდე საფეხურები ინფორმაციის შესავსებად.

8. შეაფასეთ, გაქვთ საკმარისი მონაცემები/ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

□ *ახლა, როდესაც პრობლემა გამოვლინდა, გაქვთ თუ არა ყველა საჭირო მონაცემი, რათა **მტკიცებულებაზე დაფუძნებული** გადაწყვეტილება მიიღოთ?*

□ *შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც **იცავს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს?***

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი უნიკალური პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობას სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია. ფორუმი შეიქმნა პროექტის "მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფალთა კონგრესი და დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატი, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.